ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2339213

ნომერი: AR1361877

თარიღი : 04.12.2015

გაცემის თარიღი : 16.12.2015

გაცნობის თარიღი : 17.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანში შესასვლელი ახალი გზის მარჯვენა მხარეს, , ხიზაბავრის ქუჩის გასწვრის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გელაშვილი პ/ნ 01002016046
- თბილისი გლდანი V მ/რ კორ. 26ა ბ. 46

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1361877 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.12.021.086) სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობაზე საკითხი რამოდენიმეჯერ იყო განხილული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე, სადაც საბჭოს წევრების რეკომენდაციით, განმცხადებელს დაევალა წარმოედგინა ტერიტორიაზე შესვლა გამოსვლის სქემა, სატრანსპორტო სამსახურის შესაბამისი ფორმის თანხმობით. რადგან ტერიტორიაზე ვრცელდება შეზღუდვა, რომელიც გულისხმობს შეშელიძის ქუჩაზე ორ დონეზე გადაკვეთის მოწყობას. ასევე მოგახსენებთ, რომ მოცემულ და მიმდებარე ტერიტორიაზე სამსახურის მიერ არ არის შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ხოლო რაც შეეხება განაშენიანების რეგულირების ხაზების დადგენას, აღნიშნული საკითხის თაობაზე სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მსჯელობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის სტადიაზე, ზონალური საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე სამრეცხაო ბოქსების განთავსება, საჭიროებს I სტადიის გავლას - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას,რადგან სავარაუდოდ საპროექტო ობიექტები აღემატება 60მ 2 -ს.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (I სტადია - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; II სტადია - არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა). მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების კონკრეტული პირობების დასადგენად, ელექტრონული განცხადება უნდა ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებ გვერდზე, კერძოდ: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში:

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.